

აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზის გავლენა ოჯახზე

ნათია დონღვანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი - თინათინ ჭინჭარაული ასოცირებული პროფესორი,

PhD, BCBA

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია დონღვანი

22.01.2021

აბსტრაქტი

აუტიზმის სპექტრის აშლილობა ძირითადად ბავშვობის ასაკში ვლინდება, გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე და ახასიათებს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის, სოციალური ურთიერთობების და ქცევის სირთულეები.

კვლევის მიზანია აუტიზმის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლების ემოციური მდგომარეობის, ინტერპერსონალური ურთიერთობების, სოციალური კავშირების, ცხოვრების წესის და სტრესთან გამკლავების გზების აღწერა. ასევე, კვლევის მიზანია დაადგინოს საჭიროების შემთხვევაში აუტიზმის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლების ინფორმაციული და ემოციური მხარდაჭერის გაძლიერების აუცილებლობა.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდი. ინფორმაციის შეგროვება მოხდა აუტიზმის დიაგნოზის მქონე ბავშვების დედებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს მეშვეობით. კვლევაში მონაწილეობის კრიტერიუმები იყო: ინფორმირებული თანხმობა, აუტიზმის დიაგნოზი, დიაგნოზის დასმიდან არაუმეტეს 3 წლის გასვლა და მერიის აუტიზმის პროგრამაში ბავშვის ჩართულობა. ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ და გამოყენებული იქნა პროგრამები “Zoom” და “Messenger” .

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აუტიზმის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლებს უწევთ ისეთ გამოწვევებთან გამკლავება, როგორებიცაა აუტიზმის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, საზოგადოების დამოკიდებულება, თავისუფალი დროის არ ქონა და ბავშვის განვითარებაში არსებული პრობლემები - მეტყველება, ქცევითი სირთულეები. არსებულ სტრესთან გამკლავებისთვის ისინი განსხვავებულ გზებს იყენებენ, მაგ. ინფორმაციის მოძიება და ქცევის მართვის სტრატეგიების სწავლა, აუტიზმის დიაგნოზის მქონე ბავშვის საჭიროებებზე კონცენტრირება, საკუთარი ემოციების დაფარვა, სოციალურ აქტივობებში ბავშვთან ერთად მონაწილეობა, მსგავსი დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლებთან გამოცდილების გაზიარება.

საძიებო სიტყვები: აუტიზმი, სტრესი, მშობლები, გამკლავება.

Abstract

Autism spectrum disorder mainly manifests itself in childhood, lasts a lifetime and is characterized by difficulties in verbal and nonverbal communication, social relationships and behavior.

The aim of the study is to describe the emotional state of parents of children diagnosed with autism, interpersonal relationships, social links, lifestyle and way to deal with stress. Also, the aim of the study is to determine the need to strengthen the informational and emotional support of parent of children diagnosed with autism, if necessary.

A qualitative method is used in the study. Information was collected through interviews with mothers of children diagnosed with autism. Criteria for participation in the study were: informed consent, diagnosis of autism, not more than 3 years after diagnosis, and involvement of the child in the autism program of the City Hall. The interviews were conducted online and “Zoom” and “Messenger” programs were used.

The study revealed that parent of children with autism have to deal with challenges such as lack of information about autism, lack of community attitudes, lack of free time and developmental problems of children with autism such as speech and behavioral difficulties. They used different ways to deal with existing stress, e.g. finding information and learning behavior management strategies, concentrating on the needs of a child with autism, covering up their own emotions, participating in social activities with a child, sharing experiences with parents of children with similar diagnosis.

Key Words: Autism, Stress, Parents, Coping.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო იმ მშობლებს, რომლებიც დამთანხმდნენ ინტერვიუში მონაწილეობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ მათთვის არ იყო ადვილი კვლევით გათვალისწინებულ საკითხებზე ღიად საუბარი და ამ პროცესს კიდევ უფრო ართულებდა პანდემიით გამოწვეული სხვადასხვა სახის სირთულეები მათ ცხოვრებაში. სწორედ მათი ჩართულობა იყო კვლევის წარმატებით დასრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი.